



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რას ნიშნავს აია-სოფიას მჩაეთად გადაკეთება?

ზურაბ ბატიაშვილი

147

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ზურაბ ბატიაშვილი

რას ნიშნავს აია-სოფიას მხრეთად გადაკეთება?

147

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-2774-7

თურქეთის ხელისუფლების გადანყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, აია-სოფიას მუზეუმი 2020 წლის 24 ივლისს მეჩეთად გადაკეთდა, დიდი განხილვა მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე.

აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხი თურქეთში მიმდინარე უფრო დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ნაწილია, რომელიც დროში განვლილი პროცესია. დღეს თურქეთის ხელისუფლებას მრავალ ფრონტზე უწევს ბრძოლა. ერთი მხრივ, ქვეყანა სერიოზული ეკონომიკური სირთულეების (განსაკუთრებით, Covid-19-ის პანდემიის ფონზე) წინაშე დგას, მეორე მხრივ, ანკარა ძალზე აქტიურია საგარეო პოლიტიკაში, რომელიც არაერთ საფრთხესა და გამოწვევას ქმნის. და რაც ყველაზე მთავარია, მას გრძელვადიანი დღის წესრიგიც აქვს, რომელსაც უდიდესი დრო, ენერჯია და ფინანსები მიაქვს. სწორედ ამ გრძელვადიანი დღის წესრიგის ნაწილია აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხი.

ამასთან, აღნიშნულ საკითხს არაერთი ისტორიული, სიმბოლური და პოლიტიკური კონტექსტიც ახლავს, რის გამოც იგი კიდევ დიდხანს იქნება ყურადღების ცენტრში.

მოკლე ისტორია

თითქმის 1500 წლის წინ აგებული აია-სოფიას დიდებული ტაძარი დღემდე რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს არქიტექტურულ შედევრად და „მერვე საოცრებად“.

იგი 1054 წლამდე (ეკლესიის გაყოფამდე) ფუნქციონირებდა, როგორც საერთო-ქრისტიანული საპატრიარქო საკათედრო ტაძარი. ამ თარიღის შემდეგ კი უმთავრეს მართლმადიდებელ ეკლესიად იქცა. კონსტანტინოპოლში ლათინთა ბატონობის პერიოდში (1204-1261) აია-სოფიას კათოლიკური ტაძრის ფუნქცია ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა ქალაქი დაიბრუნეს, ისევ მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქცია შეიძინა.

1453 წლის 29 მაისს ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლის აღებით ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპე-

რიას. მან აია-სოფია მეჩეთად გადააქცია და პირველი პარასკევის ლოცვაც იქ შეასრულა.¹

თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელმა და პირველმა პრეზიდენტმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა 1935 წელს აია-სოფია მუზეუმად გადააკეთა. მანამდე, 4 წლით ადრე, ამერიკელი სპეციალისტების მიერ დაწყებული სამუშაოების შედეგად გამოჩნდა უძვირფასესი მოზაიკები, რომლებიც, ისლამის წესების შესაბამისად, დაფარული იყო.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ამავე პერიოდიდან დადგა აია-სოფიას კვლავ მეჩეთად გადაკეთების საკითხი თურქული კონსერვატიული ძალების დღის წესრიგში და არაერთი თაობის ადგილობრივ მუსლიმთა აუხდენელ ოცნებადაც იქცა.

აია-სოფია 1985 წლიდან იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული.²

თურქეთში კონსერვატიული ძალების გაძლიერების პარალელურად დაიწყო აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების დროში განელილი, მაგრამ შეუქცევადი პროცესი.

1991 წელს თურქეთის ხელისუფლებამ აია-სოფიას მუზეუმის კომპლექსში (ოღონდ არა უშუალოდ აია-სოფიაში) ლოცვის ნება დართო მუსლიმებს. ხოლო 2013 წლიდან მუზეუმის მინარეთებიდან ეზანის (მომლოცველთა სალოცავად მიხმობა) რეგულარულად შესრულება დაიწყო.³

პარალელურად, თურქეთში დაიწყო ყოფილი ეკლესიებისა და მოქმედი მუზეუმების მეჩეთებად გადაკეთების პროცესი: 2011 წელს – იზნიქის (ისტორიული ნიკეა) აია-სოფია,⁴ 2013 წელს – ტრაპიზონის აია-სოფია,⁵ ხოლო 2019 წელს ხორას მონასტერი მეჩეთებად გადააკეთეს.⁶

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მალე სტამბოლის აია-სოფიას ჯერიც დადგებოდა. ამის შესახებ პირველი მინიშნება თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯევ თაიფ ერდოღანმა 2019 წლის მარტში გააკეთა⁷ და დასძინა, რომ თავის დროზე მისი მუზეუმად გადაკეთება „ძალიან დიდი შეცდომა“ იყო.⁸

ბევრი მოელოდა, რომ აია-სოფიას მეჩეთად 2020 წლის 29 მაისს (კონსტანტინოპოლის აღების 567-ე წლისთავი)

გადააკეთებდნენ. თუმცა, ეს ოდნავ მოგვიანებით, 24 ივლისს, მოხდა.

აია-სოფიას პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა

აია-სოფიას მიმართ განსხვავებულ ჯგუფებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ისინი განსხვავებული პრიზმიდან უყურებენ სამყაროს და, მათ შორის, ამ ტაძრის საკითხსაც. ერთადერთი, რაშიც ისინი თავისდაუნებურად ერთიანდებიან, არის ის, რომ აია-სოფიას უდიდესი სიმბოლური დატვირთვა აქვს. ვილაციისთვის იგი შეიძლება იყოს ოსმალეთის ბიზანტიაზე (ან, უფრო მეტიც, ისლამის ქრისტიანობაზე) გამარჯვების სიმბოლო,⁹ სხვისთვის – თურქეთის სეკულარული მმართველობისა და ათათურქის მიერ გატარებული რეფორმების სიმბოლო,¹⁰ სხვებისთვის – მართლმადიდებლობის უდიდესი ძეგლი და სიმბოლო, ბევრისთვის კი აია-სოფია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლია.

თურქეთის ხელისუფლება აია-სოფიასათვის სტატუსის შეცვლის გადანყვეტილების მიღებისას სუვერენულ უფლებაზე აპელირებდა.¹¹ თუმცა ამ თემაზე არც არავინ დავობდა. უბრალოდ, სიმბოლოებისთვის (განსაკუთრებით, რელიგიური სიმბოლოების) სტატუსსკოს შეცვლა შეიძლება ძალზე მგრძობიარე საკითხი იყოს. ალბათ, ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის (მათ შორის, იუნესკოს,¹² რომის პაპის, მსოფლიო პატრიარქის და სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერების) უმეტესობის მოტივაცია, როდესაც თურქეთის ხელისუფლებას აია-სოფიასთვის ნეიტრალური სტატუსის (მუზეუმი) შენარჩუნებისკენ მოუწოდებდა.¹³ ამ მოწოდებების მიუხედავად, ანკარას აია-სოფიასთან დაკავშირებით საკუთარი გადანყვეტილება არ შეუცვლია.

ასეთ მიდგომას თავისი მიზეზი აქვს: ყველასთვის ცხადაა, რომ თურქეთი უკვე დიდი ხანია საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ შეინიშნება, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და თურქეთის წინაშე აღარ დგას ეგზისტენციური საფრთხე. ამის შედეგად, მან ნელ-ნელა და-

მოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რასაც 2002 წელს ხელისუფლებაში კონსერვატიული ორიენტაციის „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ (AK Parti) მოსვლაც დაემატა. კონსერვატორებმა, თავის მხრივ, კიდევ უფრო დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას მიმართეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ეგზისტენციური საფრთხის არარსებობის გამო აღარ იყო საჭირო დასავლეთის პარალელური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება.

ბევრი მოელოდა, რომ თურქეთის ხელისუფლების ამ ნაბიჯის წინააღმდეგ თავის დროზე ათათურქის მიერ დაარსებული და დღეს ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალა – „სახალხო-რესპუბლიკური პარტია“ (CHP) და სხვა ქემალისტები გამოვიდოდნენ, რასაც ქვეყანაში დიდი პოლიტიკური დებატები მოჰყვებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. დასუსტებულმა და დაქსაქსულმა ოპოზიციამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და შეიძლება ითქვას, რომ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, წინააღმდეგობა არც გაუწევია.

თურქული ოპოზიციის ერთი ნაწილის შეფასებით, მმართველი პარტია აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთებით ცდილობს განსაკუთრებით პანდემიის ფონზე გამძაფრებული ეკონომიკური პრობლემებიდან ხალხის ყურადღების სხვა საკითხზე გადატანას.¹⁴ ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ მმართველი ძალა შესაძლოა ემზადებოდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისთვის და ამ ნაბიჯით სურდეს კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლების ხმათა მიღება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე არჩევნების გადმონევის საკითხი არ განიხილება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერდოღანმა არჩია არა ერთჯერადი ქულეზი მიეღო, არამედ გრძელვადიან დღის წესრიგში არსებული საკითხი გადაეჭრა.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა თავად აია-სოფიას მუზეუმის მეჩეთად გადაკეთების თარიღს. 24 ივლისს ზუსტად 97 წელი შესრულდა ლოზანის ხელშეკრულების ხელმოწერიდან, რომელიც თურქეთის რესპუბლიკასა და დასავლეთის ქვეყნებს (მათ შორის, საბერძნეთს) შორის

გაფორმდა¹⁵ და რითაც დიდნილად დადგინდა თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საზღვრები.¹⁶ თურქეთის კონსერვატიულ ძალებს მიაჩნიათ, რომ ლოზანის საზავო ხელშეკრულება ისეთივე უსამართლო იყო, როგორც თავის დროზე აია-სოფიას მუზეუმად გადაკეთება, რადგან ამ ხელშეკრულებით თურქეთმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები (მათ შორის, არაბული ქვეყნები და ეგეოსის ზღვაში მდებარე და დღეს საბერძნეთის კუთვნილი კუნძულები) დაკარგა.¹⁷

ამის გამო ბევრს გაუჩნდა განცდა, რომ თურქეთის ხელისუფლებას შეიძლება უნდოდეს ლოზანის ხელშეკრულების გადახედვა,¹⁸ მით უმეტეს, ქვეყანაში 2019 წლის ბოლოდან მოქმედებს ე.წ. „ცისფერი სამშობლოს დოქტრინა“, რომელიც თურქეთის ეკონომიკური ზონების გაფართოებას გულისხმობს ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებში და რომელიც „ყლაპავს“ ბერძნულ კუნძულებს.



თურქეთის ე.წ. „ცისფერი სამშობლოს დოქტრინა“

სიმბოლოებით იყო დატვირთული თავად აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების ცერემონიაც, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალი ერბაში აია-სოფიას მინბარზე ხმლით ხელში (ოს-

მალეთში არსებობდა „ხმლით მოპოვებულის უფლება“) ავიდა. თავად მინბარზეც ორი მწვანე დროშა გადმოფინეს, როგორც ქალაქის (კონსტანტინოპოლის) ალების სიმბოლო.

საინტერესოა, რომ ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას ალი ერბაშმა წყევლა გაუგზავნა აია-სოფიასთვის მეჩეთის სტატუსის შემცვლელთ, რაც ბევრმა ათათურქის შეურაცხყოფად აღიქვა და ამ ფაქტმა საზოგადოებაში მძაფრი კრიტიკაც გამოიწვია.¹⁹ ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების ფონზე ერბაშმა მოგვიანებით განაცხადა, რომ მისი სიტყვები არასწორად იყო გაგებული.²⁰

თურქეთის მიერ აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საპასუხოდ, საბერძნეთის ეკლესიამ გლოვის ნიშნად სახელმწიფო დროშები დაუშვა და ეკლესიებში განგამის ზარები შემოკრეს.

რეალურად, ამ სიმბოლოებით ბრძოლაში ორივე მხარემ საუკუნეების შემდეგ, 2020 წლის 24 ივლისს, 1453 წლის 29 მაისი – ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღება გააცოცხლა, რომელიც არანაკლებ სენსიტიური თემაა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, აია-სოფია კვლავაც ღიაა უცხოელი ტურისტებისთვის.²¹ ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მუსლიმური ლოცვის დროს ფრესკები ისლამის წესების შესაბამისად სპეციალური ფარდებით იფარება.²² ამასთან, აია-სოფიას მონახულება უფასო გახდა. ბილეთის მაღალი ფასის (100 თურქული ლირა, რაც დაახლოებით 14,6 აშშ დოლარია) მიუხედავად, თურქეთში 2019 წელს აია-სოფია რჩებოდა ყველაზე პოპულარულ ადგილად უცხოელი ტურისტებისთვის. იგი გასულ წელს 3,7 მილიონმა დამთვალიერებელმა მონახულა.²³ ასე რომ, თურქეთის ბიუჯეტმა მხოლოდ აია-სოფიას მუზეუმის ბილეთების შემოსავლის სახით დაახლოებით 54 მლნ აშშ დოლარი დაკარგა. მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მატერიალური შემოსავლის მხარე სერიოზულად არც კი განხილულა თურქულ მედიაში.

აია-სოფია ერთი ცალკე აღებული თემა რომ არაა, კარგად გამოჩნდა იმ განცხადებებითა და ქმედებებით, რაც ისმის მის მეჩეთად გადაკეთებამდე და გადაკეთების შემდეგ. მაგალითად, პრეზიდენტმა ერდოღანმა 16 ივლისს განაცხადა, რომ აია-სოფიას შემდეგ „გათავისუფლდება“ იერუსალიმის აღ-

აქსას მეჩეთი,²⁴ რასაც, ბუნებრივია, ისრაელისა და მსოფლიო ებრაული ორგანიზაციების უკმაყოფილება მოჰყვა.²⁵

საინტერესო რიტორიკა გაისმა 26 ივლისს პრეზიდენტის შვილის – ბილალ ერდოღანის CNN Türk-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც მან კითხვის ქვეშ დააყენა ანბანისა და ტანისამოსის შეცვლასა (ათათურქის რეფორმები) და ქვეყნის განვითარებას შორის კავშირი.²⁶

კიდევ უფრო შორს წავიდა პროსამთავრობო ჟურნალი „Gerçek Hayat“, რომელმაც განაცხადა, რომ დადგა სახალიფოს აღდგენის დრო²⁷ (სახალიფოს გაუქმებაც ათათურქის განხორციელებული ერთ-ერთი უმთავრესი რეფორმაა და ამ საკითხის განხილვაც კი აკრძალულია თურქეთის კონსტიტუციის მეოთხე მუხლის მიხედვით²⁸). აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მხრიდან საკითხისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნების შემდეგ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში.²⁹

უნდა ითქვას, რომ მსგავსი რიტორიკა მოგვიანებით ისევ გაგრძელდა. მაგალითად, ისევ პროსახელისუფლებო გაზეთმა „Yeni Akit“-მა 7 აგვისტოს გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ცეკვას არაფერი აქვს საერთო თურქულ და ისლამურ კულტურასთან და მოითხოვს უნივერსიტეტებში ცეკვის გაკვეთილების, როგორც დასავლეთის გავლენის საშუალების გაუქმება.³⁰

ივლისში კონსერვატიულმა ძალებმა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, 2011 წელს ხელმოწერილი სტამბოლის კონვენციიდან თურქეთის გამოსვლაც მოითხოვეს – თითქოს იგი „თურქულ ტრადიციებს“ მოდის წინააღმდეგობაში. ამ ინიციატივასაც თურქეთის საზოგადოების (მათ შორის, მმართველი პარტიის ნაწილშიც) მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა და ამ ეტაპზე დღის წესრიგიდანაც მოიხსნა.³¹

საინტერესოა, რომ სიმბოლოებით ბრძოლა საგარეო-პოლიტიკურ არენაზეც გაგრძელდა. 8 აგვისტოს ანკარამ გამოაცხადა, რომ თურქეთი არ ეთანხმება საბერძნეთ-ეგვიპტის შეთანხმებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკური ზონების გაყოფის თაობაზე. იგი ამ ადგილებს თავისად მიიჩნ-

ნევს და იქ საკუთარი სამხედრო გემები გაგზავნა წვრთნების ჩასატარებლად, რომელიც 10 აგვისტოს დაიწყო.³²

საინტერესოა, რომ აღნიშნული წვრთნების დაწყების თარიღიც სიმბოლურია. 10 აგვისტოს თურქეთისთვის დამამცირებელი სევრის ხელშეკრულების ხელმოწერიდან (1920 წ.) 100 წელი შესრულდა.³³

საპასუხოდ, საბერძნეთის შეიარაღებულ ძალებში განგაში გამოცხადდა.³⁴ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ადგილი რეგიონში დაძაბულობის კიდევ ერთ კერად იქცეს.



ადგილი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში, სადაც თურქეთმა წვრთნები დაიწყო

საქართველო და აია-სოფია

აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისს პოზიცია არ დაუფიქსირებია. მაგრამ ეს თემა გარკვეული პერიოდით მოექცა ქართული მედიის ყურადღების ცენტრში. იგი ასევე აქტუალურ განსახილველ თემად იქცა სოციალურ ქსელებში.

თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს საპატრიარქომ 9 ივლისის განცხადებაში, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მოზომილი იყო. კერძოდ, საპატრიარქომ გამოთქვა იმედი, რომ აია-სოფია შეინარჩუნებდა ნეიტრალურ (მუზეუმის) სტატუსს და დასძინა: „პატივს ვცემთ რა თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ვიმედოვნებთ, რომ ამ დამოკიდებულებას მეგობარი სახელმწიფო აღიქვამს არა როგორც მის შიდა საქმეებში ჩარევას, არამედ ჩვენი, როგორც ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის, მოსაზრებასა და გულისტკივილის გამოხატულებას. იმედი გვაქვს, თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული კეთილმეზობლური, მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობები კვლავაც გაღრმავდება, რაც ფრიად სასიკეთო იქნება ორივე ქვეყნისათვის“.³⁵ მაგრამ, ცხადია, ამ განცხადებამ გავლენა ვერ მოახდინა აია-სოფიის სტატუსის განსაზღვრისას.

დასკვნა

- რამდენადაც რელიგიური სიმბოლოების თემა ძალზე სენსიტიური საკითხია, აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხი კიდევ დიდხანს დარჩება განხილვის საგნად როგორც თურქეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ.
- ერდოღანმა აია-სოფიას თაობაზე გადანწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა არა სურვილით – ერთჯერადი ქულები მოეგროვებინა, არამედ შეასრულა თურქეთის კონსერვატიული და ისლამისტური ძალების ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანი.
- აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთება არ არის ერთი ცალკე აღებული საკითხი. იგი უფრო დიდი პროცესის ნაწილია, რომელსაც თურქეთის „საკუთარ ფესვებთან“ ან „საკუთარ მემკვიდრეობასთან“ დაბრუნებაც შეიძლება ვუნოლოთ.
- სავარაუდოდ, ეს პროცესი არ შეჩერდება და მას მოჰყვება გაგრძელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე, რაზეც აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების

თარიღად ლოზანის ხელშეკრულების წლისთავის შერჩევაც მეტყველებს.

- თურქეთი ბოლო ქმედებებით კიდევ ერთ სერიოზულ შეტყობინებას უგზავნის მუსლიმურ სამყაროს, რომ სწორედ მას აქვს პრეტენზია, იყოს სუნიტური სამყაროს ლიდერი. თუმცა, ამ მიმართულებით იგი სერიოზულად უპირისპირდება საუდის არაბეთს და მის გარშემო შემოკრებილ სუნიტურ-არაბული ქვეყნების კოალიციას.
- ცხადია, თურქეთში დაწყებული ცვლილებები ვერ იქნება სწრაფი. მათ განხორციელებას გარკვეული დრო და ფინანსები დასჭირდება. ამ მიმართულებით ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თურქეთის ეკონომიკის მდგომარეობაზე, რომელსაც ბოლო პერიოდში სერიოზული სირთულეები შეექმნა.
- აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთება საერთაშორისო თანამეგობრობისთვის არის მკაფიო შეტყობინება, რომ თურქეთი არის დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური აქტორი და მას შეუძლია ნაკლებად გაითვალისწინოს ან, საჭიროების შემთხვევაში, საერთოდ არ გაითვალისწინოს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი.
- ეს ნაბიჯი არ ემსახურება დასავლეთში თურქეთის იმიჯის უკეთესობისკენ შეცვლის საქმეს.
- მოსკოვისთვის ეს არის შეტყობინება, რომ თუ იგი განაგრძობს ანკარისთვის არასასურველი „სიურპრიზების“ მომზადებას ახლო აღმოსავლეთში (სირია, ლიბია და ა.შ.), მაშინ თურქეთსაც შეუძლია გარკვეული საპასუხო ნაბიჯების გადადგმა, რაც, შესაძლოა, არასასიამოვნო აღმოჩნდეს მოსკოვისათვის.

შენიშვნები

1. Erdogan Signs Decree Allowing Hagia Sophia to Be Used as a Mosque Again, www.nytimes.com/2020/07/10/world/europe/hagia-sophia-erdogan.html;
2. Turkey meets UNESCO obligations in change of Hagia Sophia's status, www.dailysabah.com/politics/turkey-meets-unesco-obligations-in-change-of-hagia-sophias-status/news;
3. 4 minaresinden 5 vakit ezan sesi yükseliyor, www.aa.com.tr/tr/kultur-sanat/ayasofyanin--minaresinden-5-vakit-ezan-sesi-yukseliyor/668646 Ayasofya'nın
4. The Church That Politics Turned Into a Mosque, www.nytimes.com/2012/02/09/world/middleeast/the-church-that-politics-turned-into-a-mosque.html
5. Turkey's other Hagia Sophia, in Trabzon, www.theguardian.com/travel/2017/oct/25/turkey-other-hagia-sophia-trabzon-church-mosque;
6. Court ruling converting Turkish museum to mosque could set precedent for Hagia Sophia, www.theartnewspaper.com/news/court-ruling-converting-turkish-museum-to-mosque-could-set-precedent-for-hagia-sophia;
7. Hagia Sophia: Controversy as Erdogan says museum and former cathedral will become a mosque, www.euronews.com/2019/03/28/hagia-sophia-controversy-as-erdogan-says-museum-and-former-cathedral-will-become-a-mosque;
8. Erdogan Signs Decree Allowing Hagia Sophia to Be Used as a Mosque Again, www.nytimes.com/2020/07/10/world/europe/hagia-sophia-erdogan.html;
9. Erdogan's Target in Hagia Sophia Stunt was Atatürk's Legacy, www.balkaninsight.com/2020/08/04/erdogans-target-in-hagia-sophia-stunt-was-ataturks-legacy;
10. Hagia Sophia a matter of Turkey's sovereignty: Erdogan, www.aa.com.tr/en/politics/hagia-sophia-a-matter-of-turkeys-sovereignty-erdogan/1913812;
11. UNESCO statement on Hagia Sophia, Istanbul, www.en.unesco.org/news/unesco-statement-hagia-sophia-istanbul;
12. Barış Seçkin, Papa Franciscus'tan 'Ayasofya' açıklaması, www.aa.com.tr/tr/ayasofya-camii/papa-franciscustan-ayasofya-aciklamasi/1907874;
13. Hagia Sophia: Former Istanbul museum welcomes Muslim worshippers, www.bbc.com/news/world-europe-53506445;
14. Treaty of Lausanne, www.lib.byu.edu/index.php/Treaty_of_Lausanne;
15. Sezin Öney, Revenge of the Hagia Sophia, www.duvarenglish.com/columns/2020/07/14/revenge-of-the-hagia-sophia;
16. Erdogan considers the Treaty of Lausanne a defeat, www.balkaneu.com/erdogan-considers-treaty-lausanne-defeat;
17. Yavuz Baydar, Erdoğan setting the stage for invalidating the Lausanne Treaty after Hagia Sophia move, www.ahvalnews.com/2023-centenary/erdogan-setting-stage-invalidating-lausanne-treaty-after-hagia-sophia-move;
18. Cumhurbaşkanlığı Sözcüsü Kalın'dan Ali Erbaş açıklaması, www.sozcu.com.tr/2020/gundem/cumhurbaskanligi-sozcusu-kalindan-ali-erbas-aciklamasi-5956957;

19. Ali Erbaş Atatürk'le ilgili skandal sözlerinin ardından ilk kez konuştu, www.yenicaggazetesi.com.tr/ali-erbas-ataturkle-iligili-skandal-sozlerinin-ardindan-ilk-kez-konustu-294190h.htm;
20. Havva Kara Aydın, Turkish spokesman: Hagia Sophia icons to be preserved, www.aa.com.tr/en/turkey/turkish-spokesman-hagia-sophia-icons-to-be-preserved/1907450;
21. İşte Ayasofya Camii'ndeki freskleri kapatacak perdeler, www.ahaber.com.tr/gundem/2020/07/23/iste-ayasofya-camiindeki-freskleri-kapatacak-perdeler;
22. ზურაბ ბატიაშვილი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა, N1, www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian--2823.pdf;
23. Erdoğan'ın, Ayasofya'dan sonraki isteği Kudüs, www.timeturk.com/erdogan-in-ayasofya-dan-sonraki-istegi-kudus/haber-1565580;
24. Jewish umbrella group slams Erdogan for vowing to 'liberate al-Aqsa', www.timesofisrael.com/jewish-umbrella-group-slams-erdogan-for-vowing-to-liberate-al-aqsa;
25. Bilal Erdoğan, harf devrimini eleştirdi, www.cumhuriyet.com.tr/haber/bilal-erdogan-harf-devrimini-elistirdi-1754125;
26. A Turkish magazine wants the caliphate back. Controversy followed, www.middleeasteye.net/news/turkey-caliphate-back-controversy-magazine;
27. Anayasa'nın İlk 4 Maddesinde Ne Yazıyor? Maddeler Neden Değiştirilemez?, www.haberler.com/anayasa-nin-ilk-4-maddesinde-ne-yaziyor-9163667-haberi;
28. Cumhurbaşkanlığı Sözcüsü Kalın'dan hilafet açıklaması, www.ulusal.com.tr/gundem/cumhurbaskanligi-sozcusu-kalin-dan-hilafet-aciklamasi-h265944.html;
29. Hilafet Ayasofya derken her şey tam gaz: Dans dersleri kaldırılınsın www.odatv4.com/akit-yazari-dans-dersleri-kaldirilsin-07082033.html;
30. Hilafet Ayasofya derken her şey tam gaz: Dans dersleri kaldırılınsın, www.odatv4.com/akit-yazari-dans-dersleri-kaldirilsin-07082033.html;
31. AKP'de İstanbul Sözleşmesi çatlağı büyüyor, www.dw.com/tr/akp-de-istanbul-s%C3%B6zle%C5%9Fmesi-%C3%A7atla%C4%9F%C4%B1-b%C3%BCy%C3%BCyor/a-54429310;
32. Türkiye'den yeni uyarı notu: 10-11 Ağustos'ta Akdeniz'de atış eğitimleri icra edilecek, www.trthaber.com/haber/gundem/turkiyeden-yeni-uyari-notu-10-11-agustosta-akdenizde-atis-egitimleri-icra-edilecek-507408.html;
33. Helmreich, Paul C., From Paris to Sèvres: the partition of the Ottoman Empire at the Peace Conference of 1919-1920, www.archive.org/details/fromparistosevre0000helm/page/320/mode/2up;
34. Türkiye yeni NAVTEX ilan etti, Yunanistan Ulusal Güvenlik Konseyi acil topluyor, www.cumhuriyet.com.tr/haber/turkiye-yeni-navtex-ilan-etti-yunanistan-ulusal-guvenlik-konseyi-acil-topluyor-1757323;
35. ზურაბ ბატიაშვილი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა, N1, www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian--2823.pdf.